

გარდატეხის ასაკში გადატანილი მძიმე დანაკარგის ტრავმა
და პანიკური აშლილობა

ლანა პაპავა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე, ფსიქიკური ჯანმრთელობის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ფსიქიკური ჯანმრთელობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დარეჯან ჯავახიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2015

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლანა პაპავა

ხელმოწერა:

თარიღი:

აბსტრაქტი

კვლევის მიზანია, დაადგინოს წარმოადგენს თუ არა, გარდატეხის ასაკის პუბერტატულ პერიოდში (9-დან 14-16 წლამდე) გადატანილი მძიმე დანაკარგის ტრავმა შემდგომ ასაკში (16 წლის ზევით) პანიკური აშლილობის განვითარების პრედიქტორს. კვლევის ტიპი არის თვისებრივი. ფსიქოთერაპიული შემთხვევების ანალიზის საშუალებით გამოვიკვლიეთ ურთიერთკავშირი გარდატეხის ასაკში გადატანილი მძიმე დანაკარგის ტრავმასა და შემდგომში განვითარებულ პანიკურ აშლილობას შორის, მოზარდების ასაკობრივი განვითარების ბიოფსიქოსოციალური თავისებურებების გათვალისწინებით. კვლევის მიზნებისთვის შევისწავლეთ გარდატეხის ასაკის, მძიმე დანაკარგის ტრავმისა და პანიკური აშლილობის ნეირობიოლოგიური მახასიათებლები. გაანალიზებულ შემთხვევებში, პანიკური შეტევების ტრიგერად გვევლინება ცვლილება სოციალურ როლში, რომელთანაც ადაპტაციის პროცესს აფერხებს მძიმე დანაკარგის ტრავმით გამოწვეული ხარვეზი მოზარდის პიროვნულ იდენტობაში. მნიშვნელოვანია ასაკობრივი განვითარების სპეციფიკის გათვალისწინება როგორც მძიმე დანაკარგის ტრავმის, ისე პანიკური აშლილობის დიაგნოსტიკისა და ეფექტური თერაპიული ინსტრუმენტების შემუშავების დროს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: გარდატეხის ასაკი, მოზარდი, ნეიროგანვითარება, გლოვა, ტრავმული გლოვა, დანაკარგის ტრავმა, პანიკური აშლილობა, პანიკური შეტევა.

Abstract

The study is to determine whether a traumatic grief during puberty period of adolescence (from 9 to 14-16 years) represents a predictor for panic disorder development at the later age (after 16 years). This is a qualitative study. Based on the analysis of psychotherapeutic cases, we examined the relationship between the traumatic loss during adolescence and later

developed panic disorder, taking into consideration biopsychosocial characteristics of adolescents. For the purpose of the research, we studied neurobiological markers of adolescence, traumatic grief and panic disorder. According to the case-analysis, panic attacks were triggered by the social role change. The process of adaptation with those changes appeared to be impeded by a deficiency in the adolescent's personal identity resulting from the past traumatic grief. The developmental peculiarities are important to develop effective diagnostic and therapeutic tools for traumatic grief and panic disorder.

Key Words: Adolescence, Adolescent, Neurodevelopment, Grief, Traumatic Grief, Loss Trauma, Panic Disorder, Panic Attack.

მადლობა

მადლობას ვუხდით ჩემ სამეცნიერო ხელმძღვანელს, ქალბატონ დარეჯან ჯავახიშვილს, რომლის უაღრესად ღირებული მეცნიერული მითითებების გათვალისწინებით შეიქმნა ეს ნაშრომი.